

შპს 220.ჯი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს 220 ჯი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 30.06.2017 წლიდან . დირექტორი ნუგზარ ტატიშვილი 62001041083 100 % წილის უფლებით .კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, დიდი დიღომი, ი. პეტრიწის ქ., I კორპუსის მიმდებარედ, (ნაკვ. 6/75), სადარბაზო 2, სართული 8, ბ. N88 მისი ძირითადი საქმიანობაა: საბითუმო ვაჭრობა სხვა მანქანებით და მოწყობილობებით

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში

ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

გადასახდელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე პერიოდში მოგებით დასაბეგრ ოპერაციებს და მოგების გადასახადის გადახდა ხდება ყოველთვიურად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, შემცირებადი ნაშთის მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა 20 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ

შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ს) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული

აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც არარეზიდენტ მომწოდებელს (იმპორტიორს) საქონელის მოწოდების ვადის დარღვევის გამო ერიცხება პირგასამტეხლო პროცენტის სახით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

მომზადებულია პირდაპირი მეთოდით

(თანხები მოცემულია ლარში)

2022 წელი

2021 წელი

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

მომხმარებლებიდან მიღებული ფულადი სახსრები	3492206	2541656
ფულადი სახსრების სხვა შემოსვლები	37499	145395
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	-2558256	-2083485
თანამშრომლებზე გადახდილი თანხები	-159091	-111088
გადახდილი მოგების გადასახადი	-5539	-14982
ბიუჯეტში გადახდილი სხვა თანხები	-400175	-296961
სხვა ხარჯები	-230105	-227849

წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

176539 -47313

ტრანზიტული ანგარიშები

ბანკიდან ბანკში

- -

სალაროდან ბანკში გატანა

-16850 730085

ბანკიდან სალაროსი თაბხის შემოტა

78951 -730085

კოვერტაცია სალაროში

530663 -

კონვერტაცია ბანკში

-550985 -3123

განაცემი ან გარ ვალდებულ პირზე

-854565 -

შემომოტანა ანგარიშვალდებული პორის მიერ

808335 -

სხვა ხარჯები კონვერტაციის გავლენა

-4451 -3123

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

ძირითადი საშუალებების შეძენა

- -

ძირითადი საშუალებების გაყიდვა

არამატერიალური აქტივების შეძენა

წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

0 0

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

დივიდენდის გაცემა

-31388 -84900

საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-132345
სასესხო ვალდებულების ზრდა	210000	375000
სასესხო ვალდებულებების დაფარვა	-299515	-144304
გადახდილი პროცენტები	-39745	-22915

წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-160648	-9465
---	----------------	--------------

ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების ნეტო ზრდა	11440	-59901
--	--------------	---------------

არარეალიზებული მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან
ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში

ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საწყისი ნაშთი	16682	76583
--	-------	-------

ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი	28122	16682
--	-------	-------

შემოწმება

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	28122	16682	76505
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	131537	66732	34313
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	2560	2684	65644
მარაგები	1573103	1291274	812283
მზა პროდუქცია	1573103	1291274	812283
სხვა	0	0	0
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	44965
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0

გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	5165	5581	5627
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	46174	0	0
სულ აქტივები	1786661	1382953	1039337

ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულება	2550	1900	0
სავაჭრო ვალდებულებები	640977	503440	501742
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	11536	0
გამომუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	195374	292973	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	57556	49472	111749
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	2398	5095	6511
სულ ვალდებულებები	898855	864416	620002

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0	0
--	---	---	---

საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	887806	518537	286990
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	132345
სულ საკუთარი კაპიტალი	887806	518537	419335
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1786661	1382953	1039337
სულ მოკლევადიანი აქტივები	1735322	1377340	1033710
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	838749	813044	0

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	3061181	2164855
საქონლის გაყიდვიდან	3043550	2161397
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	17631	3458
გაყიდვების თვითღირებულება	-2231275	-1515086
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	829906	649769
სხვა საოპერაციო შემოსავალი	754	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-203758	-144528
ცვტა / ამორტიზაციის ხარჯი	-1114	-1072
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-39745	-22915
იჯარის ხარჯი	-112615	-104033
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-67232	-47147
სულ საოპერაციო ხარჯები	-423710	-319695
საოპერაციო მოგება	406196	330074

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	6611
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		
განგრძობითი ოპერაციებიდან	406196	336685
მოგების გადასახადის ხარჯი	-5539	-15770
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	400657	320915

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	400657	320915
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	518537	419335
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-31388	-89368
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები (საწესდებო კაპიტალის გატანა)	0	-132345
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	887806	518537

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	172270	-47313
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-156379	-9387
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	15891	-56700
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-4451	-3123
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	16682	76505
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	28122	16682

დირექტორი: ნუგზარ ტატიშვილი